BAKHVI HYDRO POWER
ბახვი ჰაიდრო პაუერ

B-19-76

01.10.2019

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ 2013 წლის 10 აპრილს შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ"-ის 9,8 მგვტ სიმძლავრის „ბახვი 3" ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია #14 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული დასკვნით შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ"-ის „ბახვი 3" ჰესის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის გათვალისწინებული იყო „ბიოლაინი"-ს ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ"-ის 9,8 მგვტ სიმძლავრის „ბახვი 3" ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარმოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 იანვრის #2-9 ბრძანებით გაიცა გარმოსდაცვითი გადაწყვეტილება.

შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ"-ის მიერ დაგეგმილია „ბახვი 3" ჰესის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის „ბიოლაინი"-ს ჩანაცვლება „AT 15 მოდელის ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი"-თ. აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისპირის ტერიტორიაზე მდებარე შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ"-ის „ბახვი 3" ჰესის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით,

საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. #33ე, მე-3 სარ.
საიდენტიფიკაციო კოდი 205270810
ტელ: (+995 32) 2 39 57 05
ფაქსი: (+995 32) 2 39 50 69

#33e Chavchavadze ave., 3rd fl, Tbilisi 0179, Georgia
Identification Code: 205270810
Tel: (+995 32) 2 39 57 05,
Fax : (+995 32) 2 39 50 69

№13953
01.10.2019
2/Cb

BAKHVI HYDRO POWER

ბახვი ჰაიდრო პაუერ

წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შედგენილ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ"-ის „ბახვი 3" ჰესის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში;

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

ზვიად ჩუბინიძე

შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ"-ის დირექტორი

საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. #33ე, მე-3 სარ.
საიდენტიფიკაციო კოდი 205270810
ტელ: (+995 32) 2 39 57 05
ფაქსი: (+995 32) 2 39 50 69

#33e Chavchavadze ave., 3rd fl, Tbilisi 0179, Georgia
Identification Code: 205270810
Tel: (+995 32) 2 39 57 05,
Fax : (+995 32) 2 39 50 69